საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2016 წლის 16 ნოემბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/11

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში“ შემდეგი სახის ცვლილებები:

ა. პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სტიპენდია გაიცემა ბოლო ერთი წლის აკადემიური შედეგების მიხედვით ერთი სასწავლო წლის ვადით.“

ბ. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში, ასევე ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში არსებული ფრაზა „პირველი სემესტრიდან მოყოლებული“ შეიცვალოს ფრაზით „ბოლო ერთი წლის განმავლობაში“.

2. ცვლილებები ამოქმედდეს 2016 – 2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან (2017 წლის თებერვალი).

3. დადგენილება ცვლილებების შესახებ დასამტკიცებლად გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია